თემატიკა სპეციალობაში გასაუბრებისათვის

თემატური საკითხები შერჩეულია ბიზნესის, ეკონომიკის, მენეჯმენტის, მარკეტინგის და ფინანსური მენეჯმენტის საკვანძო თემების მიხედვით.

1. **ბიზნესი:**
   - ბიზნესის არსი, ადგილი, როლი და მნიშვნელობა, ბიზნესის მიზნები და ამოცანები
   - ბიზნესის სახეები, ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი და სტრუქტურული ფორმები
   - ბიზნესის გარემო: სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, კულტურული გარემო და ბიზნესის წარმართვის თავისებურებანი
   - ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა
   - ბიზნესი და სახელმწიფო: ბიზნესში ჩართული სუბიექტები, ეკონომიკური ძალები, სახელმწიფოს როლის ბიზნესის რეგულირებაში
   - საერთაშორისო ბიზნესი და ეროვნული სახელმწიფოს კონცეფცია; საერთაშორისო ბიზნესის დაწყების გზები და ღონისძიებები

2. **ეკონომიკის პრინციპები:**
   - ეკონომიკურ განვითარებაზე მოქმედი გარე ფაქტორები; ეკონომიკის პრობლემები; სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები, მიკრო და მაკროეკონომიკის შედარებითი დახასიათება
   - ეკონომიკური მოდელები
   - მომხმარებლები, მწარმოებლები და ბაზრის ეფექტიანობა; მიწოდებისა და მოთხოვნის საბაზრო ძალები, ელასტიურობა და მისი გამოყენება
   - კონკურენცია, მონოპოლია და ოლიგოპოლია
   - გარეგანი ეფექტები, საზოგადოებრივი საქონელი და საერთო რესურსები
   - წარმოების დანახარჯები, წარმოების ფაქტორთა ბაზრები
   - გამომუშავება და დისკრიმინაცია, შემოსავლების უთანასწორობა და სიღარიბე
   - მომხმარებლის არჩევანის თეორია
   - მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, ცხოვრების ღირებულების გამოთვლა
   - ეკონომიკა გრძელვადიან პერიოდში: წარმოება და ეკონომიკური ზრდა
   - დანაზოგები, ინვესტიციები და ფინანსური სისტემა, ფინანსების ძირითადი იარაღი
   - ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა და მაკროეკონომიკური თეორია
   - უმუშევრობა, ინფლაცია, მონეტარული სისტემა, ფულის მიწოდება და ფულზე მოთხოვნა; ერთობლივ მოთხოვნაზე მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გავლენა
   - ეკონომიკური რყევები მოკლევადიან პერიოდში; მოკლევადიანი პერიოდის ალტერნატივა ინფლაციასა და უმუშევრობას შორის

3. **ფინანსები**

- ფინანსების არსი და ფუნქციები, ფინანსური პოლიტიკის შინაარსი და პრინციპები
- ფინანსური სისტემა: სფეროები და რგოლები
- ფინანსური ინსტიტუტების სახეობები
- ფინანსური ბაზარი. მისი როლი ფინანსური რესურსების მობილიზაციასა და განაწილებაში
- საჯარო ფინანსების არსი და მოქმედების სფერო
- სახელმწიფო შემოსავლების განაწილება
- კორპორაციათა ფინანსების არსი, ფუნქციები და ორგანიზაციის პრინციპები
- ფინანსური ანალიზის და დაგეგმვის ინსტრუმენტები
- გრძელვადიანი და საშუალოვადიანი ფინანსირება

4. **მარკეტინგი:**
   - მარკეტინგის არსი, მისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში
   - მარკეტინგის მართვა: მარკეტინგის მართვის ძირითადი კონცეფციები
   - მომხმარებლის მიერ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი
   - ბიზნესშესყიდვის პროცესი
   - მიზნობრივი სეგმენტის შერჩევის სტრატეგიები: მარკეტინგული საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვა, მარკეტინგული გარემოს გამოკვლევა და მარკეტინგული ინფორმაციის სიტემა, ბაზრისა და მომხმარებელთა ტიპების გამოკვლევა, ბაზრის სეგმენტაცია, მიზნობრივი ბაზრის შერჩევა
   - საქონელი და სასაქონლო პოლიტიკა, ფასი და საფასო პოლიტიკა, გასაღების პოლიტიკა
   - მომსახურების მარკეტინგი
   - ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები

5. **მენეჯმენტი:**
   - მენეჯმენტის არსი, მიზნები, ამოცანები, პრინციპები, მეთოდები და ფუნქციები
   - ორგანიზაცია და გარემო: არსი, ძირითადი მახასიათებლები; ორგანიზაციის ინტერნალური და ექსტერნალური გარემო, ზემოქმედი ფაქტორები, მათი ურთიერთკავშირი და გავლენა; ორგანიზაციის შიდა და გარე შესაძლებლობების შეფასება:
   - მენეჯმენტის ფუნქცია- დაგეგმვა: არსი, მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნეს-კომპანიისათვის; სტრატეგიული დაგეგმვისა და სტრატეგიული გადაწყვეტილების მომზადება-მიღება, სტრატეგიული პორტფელის ფორმირებასთან დაკავშირებული ძირითადი ღონისძიებები
   - მენეჯმენტის ფუნქცია - ორგანიზება: უფლებამოსილებათა განსაზღვრისა და ორგანიზაციის დიზაინისას გასათვალისწინებელი ფაქტორები
   - ადამიანური რესურსის მართვა: არსი, მიზნები, ფუნქციები, მიმართულებები და ღონისძიებები; პერსონალის დაგეგმვის, მოზიდვის, შერჩევის, განთავსების, განვითარებისა და შეფასების პროცესი, პროცედურები და ღონისძიებები

- დასაქმებულთა სტიმულირება და მოტივირება: არსი, სპეციფიკა, მნიშვნელობა ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობისათვის
- ლიდერობა და გუნდის მართვა: არსი და მნიშვნელობა, ლიდერის მახასიათებლები, გუნდის ფორმირება-განვითარების ეტაპები, ორგანიზაციული ქცევა და ლიდერობის სტილები; ორგანიზაციული კულტურის არსი და მნიშვნელობა
- მენეჯმენტის ფუნქცია - კონტროლი: კონტროლის არსი, სახეები, მათი დანიშნულება; კონტროლის პროცესის ეტაპები.
- დამაკავშირებელი პროცესი: საორგანიზაციო კომუნიკაცია, ინფორმაციის ნაკადის მართვა და გადაწყვეტილებების შემუშავება-მიღება

საკითხის გადმოცემისას აპლიკანტის მიერ გამოვლენილი ცოდნა-უნარების შეფასების კრიტერიუმები

- **20 ქულა:** საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ჩანს განსახილველი თემის ფარგლებში საკვანძო საკითხების სიღრმისეულად ცოდნა. ტერმინოლოგია დაცულია. აპლიკანტი ზედმიწევნით კარგად ფლობს სპეციალობაში გასაუბრებისათვის გათვალისწინებულ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული თემატიკის დამუშავებისათვის რეკომენდებული ლიტერატურა, ამასთან გამოყენებული აქვს დამატებით მოძიებული წყაროები. აპლიკანტს თავისუფლად შეუძლია კომპეტენციების წარმოჩენა და განსახილველ თემასთან დაკავშირებულ დისკუსიაში მონაწილეობა, დამაჯერებელი არგუმენტების მოყვანა და თავისი მოსაზრებების დაცვა, ავლენს დასმულ შეკითხვის არსის სიღრმისეული და კომპლექსური გააზრების უნარს.
- **16-19 ქულა:** საკითხი სწორად არის გადმოცემული; ჩანს განსახილველი თემის ფარგლებში საკვანძო საკითხების ცოდნა, თუმცაღა, ცალკეული მოსაზრებები/მსჯელობები მეტ-ნაკლები სიღრმითაა გადმოცემული. გამოყენებული ტერმინოლოგია გამართულია, არსებითი შეცდომა არ არის. აპლიკანტი ფლობს სპეციალობაში გასაუბრებისათვის გათვალისწინებულ მასალას, ათვისებული აქვს რეკომენდებული ლიტერატურა. აპლიკანტი ახერხებს კომპეტენციების წარმოჩენას და განსახილველ თემასთან დაკავშირე-ბულ დისკუსიაში მონაწილეობას, დამაჯერებელი არგუმენტების მოყვანას და თავისი მოსაზრებების დაცვას. ავლენს დასმული კითხვის არსის სხვადასხვა ასპექტით გააზრების უნარს, თუმცა პასუხს აკლია აპლიკანტის დარწმუნებულობა.
- **11-15 ქულა:** საკითხი არ არის ამომწურავად გადმოცემული; ფორმულირებული მოსაზრებებიდან/მსჯელობებიდან იკვეთება, რომ აპლიკანტი ნაწილობრივ ფლობს სპეციალობაში გასაუბრებისათვის გათვალისწინებულ მასალას და ზედაპირულად გაეცნო რეკომენდებულ ლიტერატურას; ზედაპირულად იაზრებს თემის ფარგლებში განსახილველ საკვანძო საკითხ(ებ)ს; გამოყენებული ტერმინოლოგია მეტ-ნაკლებად გამართულია, ზოგიერთი განმარტებისას დაშვებულია მცირედი უზუსტობა/უზუსტობები; აპლიკანტს შეუძლია კომპეტენციების წარმოჩენა და თემასთან დაკავშირებულ დისკუსიაში მონაწილეობა, თუმცა, დასმული შეკითხვას მხოლოდ

კონკრეტული ასპექტიდან გაიაზრებს, პასუხი ზედაპირულია/შეკვეცილია/ნაწილობრივ სწორია, დასაბუთებას აკლია სიღრმე და დამაჯერებლობა/ დაზუსტება.

- **6-10 ქულა:** საკითხი გადმოცემულია ნაწილობრივ, აპლიკანტი ზოგადად მიმოიხილავს თემის ფარგლებში განსახილველი საკვანძო საკითხ(ებ)ის ცალკეულ ასპექტებს; ფორმულირებული მსჯელობებიდან/მოსაზრებებიდან/განმარტებებიდან იკვეთება, რომ მას არასაკმარისად აქვს ათვისებული სპეციალობაში გასაუბრებისათვის გათვალისწინებული მასალიდან საკვანძო საკითხები და მათი დამუშავებისათვის რეკომენდებული ლიტერატურა; ფრაგმენტულად იაზრებს განსახილველ საკვანძო საკითხ(ებ)ს; ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეულ ასპექტებზე მსჯელობისას/განმარტებისას/დასაბუთებისას დაშვებულია არსებითი ხარვეზ(ებ)ი;/ აპლიკანტი მეტ-ნაკლები დონით და ხარისხით ავლენს მინიმალურ კომპეტენციას, შეფერხებით მონაწილეობს დისკუსიაში, ზერელედ/ფრაგმენტულად გაიაზრებს დასმული შეკითხვის არსს, შესაბამისად, მასზე პასუხი ბუნდოვანია/ წინააღმდეგობრივია.
- **1-5 ქულა:** საკითხის გადმოცემულია ძალზედ ფრაგმენტულად, აპლიკანტი კონტექსტიდან ამოგლეჯილად მიმოიხილავს თემის ფარგლებში განსახილველ საკითხ(ებ)ს / ზოგიერთ ასპექტს; ამასთან, მოსაზრებების/მსჯელობის გადმოცემისას აღინიშნება მნიშვნელოვანი შეცდომა; გამოყენებული ტერმინოლოგია შეიცავს უზუსტობებს/ხარვეზებს /ან არ არის შესაბამისი; აპლიკანტს არასაკმარისად აქვს ათვისებული სპეციალობაში გასაუბრებისათვის გათვალისწინებული მასალიდან ელემენტარული საკითხები და მათი დამუშავებისათვის რეკომენდებული ლიტერატურა. აპლიკანტს უჭირს სავალდებულო მინიმალური კომპეტენციის წარმოჩენა, თითქმის ვერ მონაწილეობს დისკუსიაში, უჭირს დასმული შეკითხვის არსისა და მასზე ლოგიკური პასუხის გააზრება.
- **0 ქულა:** აპლიკანტი მოუმზადებელია სპეციალობაში გასაუბრებისათვის, საკითხის გადმოცემისას მინიმალურ დონეზეც ვერ ავლენს სპეციალობაში გასაუბრებისათვის გათვალისწინებული მასალიდან ელემენტარული საკითხების გარშემო ცოდნას; გამოყენებული ტერმინოლოგია/წარმოდგენილი მოსაზრებები არსებითად მცდარია / საკითხის შესაბამისი არ არის; ან საკითხი საერთოდ არ არის განხილული/კითხვა უპასუხოდაა დატოვებული.